დამტკიცებულია შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საქთო კოლეჯი“-ს დირექტორის 2026 წლის 04 ივნისის N154 ბრძანებით

შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საქთნო კოლეჯი“

პროფესიული განათლების მასწავლებლის

თანამდებობრივი ინსტრუქცია

თბილისი

2026

1. თანამდებობა

პროფესიული განათლების მასწავლებელი

2. თანამდებობის ძირითადი მიზანი

პროფესიული სტუდენტების ხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფა, სასწავლო გეგმით/მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა და სტუდენტთა პროფესიული კომპეტენციების განვითარება.

3. უშუალო დაქვემდებარება

სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი (ადმინისტრაციულ საკითხებში).

4. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

- შესაბამისი პროგრამით/მოდულ(ებ)ით გათვალისწინებული პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება, ან/და შესაბამის სფეროში არანაკლებ ბოლო 10 წლის განმავლობაში სულ მცირე 3 წლიანი სამუშაო გამოცდილება.
- ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, დამატებით წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი საბუთი ან მონაწილეობა მიიღოს კოლეჯის მიერ ორგანიზებულ ინგლისური ენის კომპეტენციის შეფასებაში, რომლითაც განისაზღვრება კოლეჯში დასაქმებული პროფესიული განათლების მასწავლებლის ინგლისური ენის ცოდნის დონე (B1 - უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ კლინიკური სწავლება/ პრაქტიკული კომპონენტი; B2, C2 – თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების სწავლება).

5. კვალიფიკაცია / კომპეტენცია

- საქართველოს კანონის „პროფესიული განათლების შესახებ“ და მის საფუძველზე განსაზღვრული ძირითადი მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების ცოდნა.
- პროფესიული სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიების სიღრმისეული ცოდნა.

6. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სპეციფიკური ცოდნა

კოლეჯის შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულებისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი შიდა დოკუმენტაციის ცოდნა.

7. დამატებითი ტექნიკური ცოდნა

- საოფისე კომპიუტერული პროგრამების (MS Office: Word, Excel, PowerPoint) და ელექტრონული სასწავლო პლატფორმების მუშაობის პრინციპების ცოდნა.

8. პიროვნული და პროფესიული უნარ-ჩვევები

- გამართული წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარი ქართულ ენაზე.
- ინგლისურენოვანი პროგრამის განხორციელების შემთხვევაში — გამართული წერითი და ზეპირი პროფესიული კომუნიკაციის უნარი ინგლისურ ენაზე.
- ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება.
- ეფექტური კომუნიკაციისა და კონფლიქტების მართვის უნარი.
- პრობლემების დამოუკიდებლად და ოპერატიულად გადაჭრის უნარი.
- მაღალი პროფესიული ეთიკა, ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობის გრძნობა.
- უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და ცვალებად გარემოსთან სწრაფი ადაპტაციის უნარი.
- დეტალებზე ორიენტირებულობა და დროის მენეჯმენტი.

9. ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები

- პროფესიულ სტუდენტთა ხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფა და მათ მიმართ თანაბარი, არადისკრიმინაციული მიდგომის დაცვა განურჩევლად სქესის, რასის, ენის, რელიგიის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობისა თუ სხვა ნიშნებისა.
- საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და მოდულების ადაპტაციაში მონაწილეობა.
- კომპეტენციის ფარგლებში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მოდიფიცირებისა და სრულყოფის პროცესში აქტიური მონაწილეობა.
- პროგრამით განსაზღვრული მოდულების ადაპტაციაში მონაწილეობა პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად.
- სწავლებისა და შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგიის შერჩევა და სასწავლო პროცესის მაღალპროფესიულ დონეზე წარმართვა.
- სასწავლო პროცესის დოკუმენტაციის (კალენდარული გეგმა, მოდულის შეფასების ინსტრუმენტები, შუალედური და საკვალიფიკაციო შეფასებები, მტკიცებულებები და უწყისები) დროული მომზადება და პასუხისმგებელი პირებისთვის წარდგენა.
- კომპეტენციის ფარგლებში, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და შეფასების შედეგების ვერიფიკაციის პროცესებში მონაწილეობა.
- სტუდენტთა დროული ინფორმირება შეფასების სისტემის, გადაბარების, აპელაციისა და კომპეტენციების დადასტურების წესების შესახებ;
- შეფასების სისტემის ობიექტურობის, ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპების უზრუნველყოფა.
- სტუდენტთა დასწრების ყოველდღიური ზუსტი აღრიცხვა დადგენილი წესით.

- სასწავლო პროცესში დაგეგმილი ნებისმიერი ცვლილების შესახებ სტუდენტთა ოპერატიული ინფორმირება.
- სტუდენტის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ან შინაგანაწესის დარღვევის ფაქტზე კოლეჯის ადმინისტრაციის დაუყოვნებლივი ინფორმირება.
- კოლეჯის შიდა კომისიების მუშაობაში მონაწილეობა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.
- მოდულისთვის საჭირო სასწავლო რესურსების განსაზღვრაში მონაწილეობა და მათი ეფექტური გამოყენება პრაქტიკული და თეორიული მეცადინეობებისას.
- სასწავლო სახარჯი მასალისა და აღჭურვილობის დროული მოთხოვნა და მათი რაციონალური გამოყენება.
- სასწავლო/პრაქტიკულ პროცესში შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენური ნორმების დაცვა.
- საკუთარ უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, კოლეჯის მიერ შემოთავაზებულ თუ სხვა შესაბამის ტრენინგებსა და სემინარებში მონაწილეობა.
- სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირების მოთხოვნით, სხვადასხვა მიმდინარე ანგარიშებისა და დოკუმენტაციის დროული მომზადება.
- კოლეჯის მიერ ორგანიზებულ საჭიროებების კვლევებში მონაწილეობა.
- მოქმედი კანონმდებლობის, კოლეჯის წესდების, შინაგანაწესისა და დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების დაცვა.

10. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე თანამდებობრივ ინსტრუქციაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

გავეცანი და ვეთანხმები

პროფესიული განათლების მასწავლებელი (სახელი, გვარი): _____

ხელმოწერა: _____

თარიღი: „_____“ _____ 20___ წ.